სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/155

ქ. თბილისი

12 ოქტომბერი 2020 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ქვარცხავას მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2020 წლის 28 სექტემბრის საბჭოს სხდომის №88 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

დადგენილებას თან ერთვის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**